გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 75
(11 941)

27 – 29 სექტემბერი, 2005 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„სპორტი – ყველასათვის“ ბაქოში ზეიმობს...

წარმატება სპორტში, რა დონისაც უნდა იყოს იგი, სხვა თუ არაფერი, ამ დონის შესაფერისად მაინც უნდა დაფასდეს. თუმცა, შედარებითია ყველაფერი. მსოფლიოში არაერთია ისეთი ქვეყანა, რომლისთვისაც უმაღლეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს კონტინენტის ჩემპიონობა, თუ უფრო მაღალი რანგის ასპარეზობაში არ მიუღწევია წარმატებისთვის. მაგრამ ისეთებიც არიან, ოლიმპიური ჩემპიონი თუ არ გახდა მისი წარმომადგენელი, ღირსებაშელახულად გრძნობს თავს. ნუ დავმალავთ, ანდა, რა არის მორიდებით სათქმელი, ჩვენ ასეთნაირთა შორის ვართ და სამართლიანიცაა ის პრეტენზიები, რაც გაგვაჩნია.

ეს დიდ სპორტში. მაგრამ რა ხდება მასობრივ სპორტში, ანუ იმ სამყაროში, რომელსაც მსოფლიომ უწოდა „სპორტი – ყველასათვის“ და ჩვენც ვაღიარეთ?

ნახევარი საუკუნეა ვტრიალებ სპორტის სფეროში, უფრო სწორად, მთელი ცხოვრება სპორტის სამსახურში გავატარე და მასობრივი სპორტის ნამდვილი „გემო“, მისი შესაძლებლობები, შეიძლება ითქვას, ახლა გავიგე. ახლებური ფუნქცია, ისე საცნაური და გამოკვეთილი, მეტიც, ლოგიკური, არასდროს ყოფილა, როგორც ეს დღესაა.

ბაქო. 2005 წლის 24 სექტემბერი, შაბათი. ზუსტად 15 საათზე ადგილობრივ სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის V საერთაშორისო სპორტული თამაშები. პირდაპირ გეტყვით: დიდი ჩოჩქოლი ატყდა ჩვენ დელეგაციაში გავსულიყავით თუ არა აღლუმზე. მიზეზი? ყველა ქვეყანა კოპწიად გამოწყობილი, ერთიან სპორტულ უნიფორმაში თავმომწონედ ჩამწკრივდა აღლუმზე გასასვლელად, ჩვენ კი...

უარით, უპირველესად, თამაშების ორგანიზატორებს ჩავაგდებდით უხერხულ მდგომარეობაში. რაკი მათ დიდ პატივს ვცემთ, გადაწყდა გავიდეთ აღლუმზე, ოღონდ ეგაა, სხვათა ჩაცმულობის ფონზე, ჩვენთვის სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულებისთვის სტვენა შეიძლება აეტეხა ტრიბუნებს. გავრისკეთ. ჩვენდა საბედნიეროდ, აღლუმის გახსნის პატივი საქართველოს სპორტულ დელეგაციას მიანდვეს. ეს, ალბათ, ადრე, სადღაც, რომელიღაც მაღალჩინოსნის კაბინეტში გადაწყდა და არა აქვე, სპონტანურად. მოკლედ, ამოვისუნთქეთ. იმ ტანსაცმლით, რითაც ქუჩაში დავდიოდით, გავდივართ აღლუმზე, გავდივართ პირველები და ტრიბუნებმა რა იციან, რომ უსახსრობის გამო ვართ ამ დღეში ჩავარდნილი.

მთავარია, პირველები შევაბიჯებთ დარბაზში, გამოცხადდება, რომ მოდის „საქართველო“ და ოვაციები გარანტირებულია. ასეც მოხდა. გადავრჩით!

24 სექტემბერი თამაშების პირველი დღე იყო. ჩვენმა ფეხბურთელებმა, როგორც 35 წლამდელებმა, ისე მათზე უფროსებმა, ორ-ორი შეხვედრა ჩაატარეს და ყველა მოიგეს. **თამარ შანიძემ** მძლეოსნობაში III საპრიზო ადგილი დაიკავა, იმავე დღეს, რბენაში. ბრინჯაოს მედლის მოპოვება ასეთ შეჯიბრებაში სულაც არ არის ადვილი. თამრიკომ თავი არ დაზოგა და ალბათ, სწორედ ძალიან მოწადინების გამო, მიღებულმა ფეხის ტრავმამ შეუშალა ხელი მიეღწია უფრო მაღალი შედეგისთვის. თუმცა, რაც საწყენია, სხვა პროგრამაშიც ველარ შეძლო მონაწილეობა. აღლუმის შემდეგ ბანკეტზე მიგვიწვიეს. მანამდე კი **ჰეიდარ ალიევის** საფლავი და 90-იანი წლების მოვლენების დროს დაღუპულთა მემორიალი მოინახულეს თამაშების სტუმრებმა ასპარეზობის მთავარ მსაჯთან, ცნობილ კოსმონავტთან, სსრ კავშირის ორგზის გმირ **ალექსეი ლეონოვთან** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად.

დავუბრუნდეთ საზეიმო თავყრილობას. აღლუმზე რომ საქართველოს დელეგაცია პირველები გამოიძახეს, უკვე გითხარით. მერე გაიმართა დიდი კონცერტი. როცა მონაწილე ქვეყნების ხალხური შემოქმედების წარმოდგენის დრო დადგა, აქაც ქართული ცეკვით გაიხსნა ეს განყოფილება.

ხშირად ვამბობთ, რომ კულტურა და სპორტია ის სფერო, რომლითაც დღეს შეუძლია საქართველომ თავი მოიწონოს საერთაშორისო ბაზარზე (ნუ მოვერიდებით ბევრისთვის ამ შეუჩვეველ გამოთქმას, საბაზრო ეკონომიკის მსოფლიო პროცესში ვართ ჩართულნი). თავის დროზე სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, როცა კულტურა და სპორტი ერთ სამინისტროში მოექცა. წარმოუდგენლად მიმაჩნდა სპორტის, განათლების, თუნდაც ჯანმრთელობის სამინისტროსთან შერწყმა, მაგრამ ახლა, ბაქოში საოცრად რეალური შეხების წერტილი დავინახე და გავიფიქრე, იქნებ დროს გავუსწარით, იქნებ სწორედ ესაა სწორი გზა.

როგორღაც ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებს ვეხმიანებით XXI საუკუნის დასაწყისიდან. აი, მაშინ იცოდნენ, თუ იცოდნენ, რა იყო კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის ჭეშმარიტი ერთიანობის ფასი.

ზემოხსენებული ბანკეტი გაიმართა ბაქოს გრანდიოზულ სარიტუალო (ოღონდ, მხოლოდ, საქორწინო) დარბაზში. ნამდვილად არ მოველოდით თუ აქაც საქართველო აღმოჩნდებოდა ყურადღების ცენტრში. აღმოჩნდა. წარმოიდგინეთ ხალხით გადაჭედილი ვეებერთელა დარბაზი. ყველასათვის და, რასაკვირველია უპირველესად საქართველოს დელეგაციისთვის სრულიად მოულოდნელად, მიკროფონში გაისმის ქართული, უაღრესად თბილი

იხ. მე-2 გვ.

მილოცვები

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავს თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების და მსოფლიო პირველობის მესამე პრიზიორს, ევროპის ვერცხლის მედალოსანს, სსრ კავშირის ჩემპიონს და ორგზის პრიზიორს ხალხთა სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონს, თბილისის საერთაშორისო ტურნირების ორგზის გამარჯვებულს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **ნოდარ ხოხაშვილს.**

X X X

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავს სახელოვან ფალავანს, ოლიმპიური თამაშების (1964 წ) მესამე პრიზიორს, მრავალი ასპარეზობების გამარჯვებულს და პრიზიორს **ნოდარ ხოხაშვილს.**

შეგახსენებთ...

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, 23 მაისს, სპორტის აკადემიაში ქართული სპორტის სამყაროსთან შეხვედრისას თქვა: **„საქართველო მუდამ სპორტული ქვეყანა იყო, მაგრამ უკანასკნელმა თორმეტმა წელიწადმა მას ბოლო მოუღო. ჩემთვის სპორტის განვითარება ბიუჯეტის ზოგადი მუხლი არაა. უპირველესად, ესაა ეროვნული აღორძინების და ქვეყნის ფეხზე დაყენების ერთ-ერთი პირობა. ამისთვის საჭიროა მასობრიობა. შედეგს ყველა სახეობა იძლევა, თუ ის მასობრივია...“**

გოლოვინამ მსოფლიო დაიპყრო

ჰოლანდიაში დასრულდა მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში. 16 წლამდელ გოგონათა შორის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა საქართველოს წარმომადგენელმა ლუბოვ გოლოვინამ. ფინალში მან უახლესი მდევარი უზბეკი ანა სავკინა 2 ქულით ჩამოიტოვა. ამავე ასაკში ასპარეზობდა ნანა დუჭაშვილი, რომელიც მეექვსე ადგილზე გავიდა.

„ნტნ“ – უძლიერესია ევროპაში

იტალიის ქალაქ სან-ვინსენტში ჭადრაკში გამართულ ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე ქართველ ქალთა გუნდმა „ნტნ-მ“ უძლიერესის ტიტული მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ „ნტნ“ ზედიზედ მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი. გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ მაია ლომინეიშვილი, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ანა მათნაძე, თამარ წერეთელი. ბოლო ტურში „ნტნ“-მ სერიოზული მეტოქე – სერბიის „ინტერნეტ პოდგორიცა“ დაამარცხა 4:0 და 18,5 ქულით დაიკავა პირველი ადგილი. ქართველ ქალთა გუნდს ნახევარი ქულით ჩამორჩა რუსეთის „ურალი“, ხოლო 16,5 ქულით მესამე ადგილზე „ინტერნეტ პოდგორიცა“ გავიდა.

ვაჟთა გუნდმა „იამ“ (ზურაბ აზმაიფარაშვილი, ზვიად იზორია, მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, ლევან ფანცულაია, ვალერი გაფრინდაშვილი) ბოლოსწინა ტურში დამარცხებით ჩემპიონობის შანსი დაკარგა, უკანასკნელ ტურში „აშდოდთან“ შეხვედრის ფრედ (3:3) დასრულების შემდეგ კი საპრიზო ადგილების მიღმა დარჩა – მეშვიდე ადგილზე გავიდა.

ევროპის სამი ჩემპიონი გვყავს!

ქართველები კვარცხლბეკზე: მარცხნიდან – მერი არაბიძე, ნაზი პაიკიძე და ნინო ანაკიძე.

სერბიასა და ჩერნოგორიაში დასრულდა 10,12,14,16 და 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატები, რომლებშიც წარმატებით იასპარეზეს ქართველმა მოჭადრაკეებმა. მივყვეთ თანმიმდევრობით ასაკის მიხედვით. გოგონათა შორის, **10 წლიანებში დეა გოგიშვილმა და თეკლა მაჭარაშვილმა 5-5 ქულა** მოაგროვეს და საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩნენ. ამავე ასაკში 4,5 ქულა მოაგროვა **მარიამ სამურკასომ.**

ქართველთა ტრიუმფით დასრულდა 12 წლამდელთა შეჯიბრება. 7,5 ქულით ევროპის ჩემპიონი გახდა ნაზი პაიკიძე, 7-7 ქულით, კოეფიციენტის მიხედვით, შესაბამისად მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს მერი არაბიძემ და ნინო ანაკიძემ.

სალომე მელია

14 წლიანებში პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა **სალომე ხაჟომია.** არც **16 წლიანებში** გვყავს პრიზიორები. აქ ქართველების მონაგარი ასეთია: **მირანდა მიქაძე** – 5,5, **მერი ჟორჟოლიანი** – 5, **თამარ გახოკიძე** – 4,5, **მადონა ბოკუჩავა** – 4,5.

18 წლიანებში უძლიერესი იყო **სალომე მელია,** რომელმაც 7,5 ქულა მოაგროვა და ნახევარი ქულით გაუსწრო ვერცხლის პრიზიორს **მაკა ფურცელაძეს.** ამავე ასაკში საპრიზო ადგილს მიღმა დარჩენილმა **ნინო ბაციაშვილმა** 5,5 ქულა მოაგროვა.

ახლა რაც შეეხება **ვაჟებს 10 წლიანებში,** სამწუხაროდ, პრიზიორები არ გვყავს. **გიგლა ბენიძემ** 6 ქულა მოაგროვა, **ირაკლი ბერაძემ** – 5, **ალექსანდრე ებრალიძემ და გიორგი შონიამ** 3,5–3,5.

12 წლიანებში ნოდარ ლორთქიფანიძემ სომეხ ჰაიკ თამაზინთან ერთად 7-7 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო, მაგრამ უარესი კოეფიციენტის გამო ქართველს მეოთხე ადგილი ხვდა წილად.

14 წლიანებში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა **დავით ბენიძემ.** მან 7.5 ქულა მოაგროვა. მეექვსე ადგილზე გავიდა **ლევან ბრეგაძე** (6,5).

16 წლიანებში ყველაზე მეტი – 7-7 ქულა მოაგროვეს **დავით ჯოჯუამ** და სომეხმა ზავენ ანდრეასიანმა. უკეთესი კოეფიციენტის წყალობით ანდრესიანი ჩემპიონი გახდა, ჯოჯუა კი ვერცხლის მედალოსანი. ექვსი ქულაა **გიორგი მარგველაშვილის** ანგარიშზე. **18 წლიანებში** 5,5 ქულით მეთორმეტე ადგილზე გავიდა **შოთა აზალაძე.**

დავით ბენიძე

გაიოზ დარსაძე: საქართველო შემდეგ ფეხბურთს ითამაშებს

23 სექტემბერს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** და ეროვნული ნაკრების თავკაცმა **გაიოზ დარსაძემ** ბასა ლოლობერიძის სახელობის საწვრთნელ ბაზაზე, მასმედიის წარმომადგენლებთან პრესკონფერენცია გამართეს. და ის შემადგენლობა დაასახელეს, რომელზეც რამდენიმე დღეში ორი ოფიციალური მატჩის გამართვა მოუწევს, შინ – ყაზახეთთან და სტუმრად – საბერძნეთთან. ვიდრე პრესკონფერენცია გაიმართებოდა, ჟურნალისტებს საშუალება გვქონდა დაგვეთვალიერებინა საწვრთნელი ბაზა. თუ რა მდგომარეობაში დახვდა ახალ ხელმძღვანელობას, რა მდგომარეობაშია და რა კეთდება სამომავლოდ, უნდა ითქვას, რომ მინდვრის საფარი, რომელიც რამდენიმე ხნის წინ სავსე იყო ბალახებით, ამჟამად უკეთეს მდგომარეობაშია. იგეგმება ძირითადი მოედნის უკანა მხარეს ორი ხელოვნურ-ბალახიანი მოედნის გაკეთება. გარდა ამისა არის ერთი მინი-ფეხბურთის მოედანი, რომელიც გათვალისწინებულია უეფას მოთხოვნებით. მას საბოლოო სახე არ აქვს მიღებული. მაგრამ, იმედოვნებენ, რომ ნელ-ნელა დასრულდება. თვალში საცემია ირგვლივ ბევრი ლამაზი სხვადასხვა სახის ნარგავები. რაც შეეხება საცხოვრებელ შენობას, იგი ჯერ სრულად არ არის დამთავრებული. ადგილობრივი თანამშრომლების განცხადებით ყველაფერი უხარისხოა და თავიდან არის გასაკეთებელი. ახალი ხელმძღვანელების ხელში გაკეთდა ის, რომ შეილება ოთახები, მოწესრიგდა სამზარეულო. ასევე თავიდან გაკეთებას საჭიროებს გასახდელები, საშხაპეები, სატრენაჟორო დარბაზი, სადაც საკმარისი ვენტილაცია არ არის და რამდენიმე წუთის შემდეგ ადგილზე გაჩერება შეუძლებელია. თანამშრომლებმა ასევე განგვიცხადეს რომ, არც გაზი, არც სატელეფონო საშუალება არ გააჩნიათ და სწორედ ამაზე მიდის მუშაობა. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის განსახორციელებლად ფინანსები არის საჭირო, ამ პრობლემების მოგვარებას დრო სჭირდება. ბატონმა ნოდარმა გვაცნობა, რომ გუნდური სულისკვეთების ჩამოსაყალიბებლად ფეხბურთელებთან ურთიერთშეთანხმების შედეგად ნაკრებში დამკვიდრდა ასეთი რამ: „როდესაც სასადილოში შევალთ, ჭამის

იხ მე-3 გვ.

რედაქტორის სვეტი

სიახლე და პრობლემები

წლეულს სამოცდამერვე მიღებას გაუხსნა კარი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიამ. ამ ავტორიტეტულ უმაღლეს სასწავლებელში ტრადიციამ გზა დაუთმო სიახლეებს. ნოვაცია ერთბაშად მოვიდა, უპირველესად, საერთო ეროვნული გამოცდების გზის გავლით და ეს პირველი შემთხვევაა ამ სასწავლებლის ისტორიაში, როცა აბიტურიენტთა შორის ვერ ვიხილავთ ქართული სპორტის ცნობილ სახეებს ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოს, ევროპის თუ სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულებს. მიზეზი გასაგებია: მოისპო ე.წ. სპორტული სიები, ფედერაციების, კლუბების წარდგინებები და შუამდგომლობები. ყველაფერი ეს ასე უეცრად, ხელის თუ კალმის ერთი მოსმით (ხელმოწერას ვგულისხმობთ) ჩაბარდა ისტორიას. კარგია ეს თუ ცუდი? ძალიანაც კარგიაო ვერ ვიტყვით. იქნებ მართლაც ასე სჯობს, მაგრამ ჩვენ ისეთი ხალხი ვართ, დრომ თუ არ დაგვარწმუნა, მტკივნეულად ვთმობთ ტრადიციას, სპორტის აკადემიის გამრავალფეროვნება საბაზრო ეკონომიკამ ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ წამოსწია წინა პლანზე. აღფრთოვანება ამგვარ ნაბიჯს მაინცდამაინც არ გამოუწვევია, რადგან აქაც ისევ და ისევ ტრადიციის ფაქტორმა დააფიქრა ადამიანები. დღეს კი სულ სხვა მოთხოვნებია. სიახლეა თვით პროფესორ-მასწავლებელთა გადახალისების პროცესიც. ვინც ღრმად ჩაუფიქრდება, ამ პროცესში უთუოდ შენიშნავს რაციონალურ მარცვალს. აკადემიის საქმიანობის გამოცოცხლების პროგრესულ ნაბიჯებს ყველა მიესალმება, რაშიაც დიდია თვით აკადემიის ხელმძღვანელობის, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტის წვლილი. მაგრამ ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რადგან ვაუჩერით წმინდა სპორტულ სპეციალობებზე ვერც ერთი აბიტურიენტი ვერ ჩაირიცხა. ყველამ ფასიან სექტორზე უნდა ისწავლოს. გამოდის, რომ ეს აკადემია ყველასთვის ფასიანი გახდა. ჩვენმა სამინისტრომ, ალბათ, აუცილებლად უნდა გამონახოს ფინანსური სახსრები სტუდენტთა ნავარაუდევი კონტინგენტის დასაფინანსებლად მაინც. ხმამაღლა ვაცხადებთ: ასეთი განახლებული, მაგრამ ამავე დროს ასეთი ბუნდოვანი ახალი სასწავლო წელი სპორტის აკადემიას თავისი არსებობის სრული 67 წლის ისტორიის მანძილზე ჯერ არ ჰქონია. პრობლემები აუცილებლად უნდა მოიხსნას და ეს არ უნდა იყოს სახელმწიფოსთვის საჭოჭმანო საკითხი, რადგან საზოგადოება ჰარმონიული სრულყოფისკენ ისწრაფვის, რაც ადამიანთა სულიერი და ფიზიკური სრულყოფის გარეშე არ მიიღწევა. თაობათა სულიერ აღზრდას, კადრების მომზადებას უამრავი ჰუმანიტარული უმაღლესი სკოლა ემსახურება, ფიზიკურისას – ერთი! აი, რა არის მთავარი!..

ფეხბურთელი ქალები ევროპისკენ იხედებიან

ხანგრძლივი, თითქმის, ათწლიანი პაუზის შემდეგ საერთაშორისო საფეხბურთო სამყაროს ქართველი ქალებიც დაუბრუნდნენ. ევროპულ სარბიელს პირველი საქართველოს 19 წლამდე ნაკრები დააჭაშნიკებას. მაია ჯაფარიძის ყმაწვილი-ქალბატონები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის ნაკრების ტექნიკურ ცენტრში ემზადებოდნენ, გუშინ კი ბოსნიის გზას დაადგნენ, სადაც ოთხთა ტურნირში იასპარეზებენ. ქართველი გოგონების მეტოქეები ბოსნიის, რუსეთის და ისლანდიის ნაკრები გუნდები იქნებიან. ჯგუფი საკმაოდ ძლიერია, თუნდაც იმიტომ, რომ, მასში ევროპის მოქმედი ჩემპიონი რუსეთის ნაკრები იასპარეზებს. ტურნირის პირველი მატჩები დღეს, **27 სექტემბერს,** გაიმართება. **29 სექტემბერს** მეორე, **1 ოქტომბერს** კი მესამე ტურის მატჩები ჩატარდება. საქართველოს ნაკრები ბოსნიიდან 2 ოქტომბერს დაბრუნდება.

„სპორტი – ყველასათვის" ბაქოში ზეიმობს...

პირველი გვერდიდან

მისალმება, რასაც მოჰყვა ჩვენებური სიმღერა — „გოგონა, ჩემო გოგონა"... სუფთა ქართული ინტონაციით. ეს იყო თურმე საქართველოს ყოფილი მოქალაქე, მარნეულელი მომღერალი და ანსამბლის ხელმძღვანელი (ბოდიშს ვიხდი, გვარის დაზუსტება, სამწუხაროდ, მხედველობიდან გამომრჩა). თუ იმასაც დავძენთ, რომ ეს ამხელა საზეიმო თავყრილობა ქართული თამადობის წესით და რიგით წარიმართა, ადვილი წარმოსადგენია რა სიამაყე დაგვეუფლებოდა.

მაგრამ, თურმე თავის მოწონება, თანაც წარმოუდგენელი სიამაყით, წინ გველოდა. ახლა ქართული საცეკვაო მელოდია გაისმა დარბაზში. რომელიღაც აზერბაიჯანელმა გაუსვა და გამოუსვა, ჩაახვია, მერე დაასრულა თუ არა ცეკვა, „მოედანზე" ქართველი ბიჭები გადაენთნენ. საბურთალოს ფეხბურთის გუნდის წევრები იყვნენ. ის გუნდი, ამ ცოტა ხნის წინათ, საქართველოს პრეზიდენტის თასის პირველი გათამაშების გრანდიოზული ტურნირი რომ მოიგო მინიფეხბურთში. ზემოთ უკვე ხსენებული ყოფილი მარნეულელი ახალგაზრდა სიმღერით უნთებდა ცეცხლს ჩვენს ბიჭებს. პირველები რუსეთელები, რომლებიც ყველა დაკრულზე ახერხებენ ცეკვას, ჩაერთვნენ ამ თავბრუდამხვევ რიტმში, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ მათი როკვა სუროგატი იყო ამ დიდ ხელოვნებასთან და განზე გადგნენ, მაყურებლის როლში გადაინაცვლეს. მთელი დარბაზი წამოიშალა, თუმცა, ყველა მაინც ვერ ხედავდა თუ რა „ცეცხლი დაანთეს" იმ პატარა საცეკვაო არენაზე საბურთალოელებმა და იძულებული გახდნენ დარბაზში დამონტაჟებულ დიდ ტელეეკრანზე გადაეტანათ მზერა, ასე ედევნებინათ თვალი ქართული ცეკვებისთვის.

ცოტა მოგვიანებით, საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე **იროდი ბეჟაშვილი** იტყვის, რომ დარბაზმა იხილა პროფესიონალ ფეხბურთელთა და პროფესინალ მოცეკვავეთა ტრიუმფი. სწორედ რომ ასე იყო. თითქოს განგებამ ინებაო, „საბურთალოს" გუნდში თავი მოიყარეს ბიჭებმა, რომლებსაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქართულ ქორეოგრაფიულ ანსამბლში თუ ჯგუფებში უცეკვიათ და ამავე დროს მინიფეხბურთის საიდუმლოებასაც ღრმად ჩასწვდომიან. „დიდ ფეხბურთსა და მინიფეხბურთს შორის დიდი განსხვავებაა. თამაშის თავისებური მანერა, სხარტი აზროვნება მოედანზე, ტექნიკის ფილიგრანულ ოსტატობამდე დაყვანა, პარტნიორებთან მოკლე „საფეხბურთო დიალოგით" საუბარი, სხვა უამრავი ნიუანსი" — აი, რა არის მთავარი. ასეთი აზრი გამოვიტანეთ საბურთალოს გუნდის მწვრთნელთან **ნუგზარ ჯაშის** საუბრიდან.

... ცეკვის შემდეგ ცნობისმოყვარეებმა თავიანთი მაგიდები მიატოვეს და ჩვენებს მიუსხდნენ გვერდით. ბევრს ეგონა, რომ ეს იყო მოცეკვავეთა ანსამბლი და არა ფეხბურთელთა გუნდი.

„როგორ, ეს ბიჭები ფეხბურთელები არიან"? — გაოცებას ვერ მალავდნენ ისინი.

იროდი ბეჟაშვილთან ერთად ვბრუნდები სასტუმროში. ბევრი დარჩა, ჩვენებიც. ყაზახეთის წარმომადგენლებთან მოვხვდით ავტობუსში. მათ გვიცნეს, ვინც ვიყავით და... ჯერ „ჩიტო გვრიტო" იმღერეს ხმაშეწყობილად, მერე კი გვითხრეს. ხომ ხედავთ, რაც შეგვიძლია, ახლა მოდით და ერთად „სულიკო" ვიმღეროთო... საბურთალოელებმა მეორე დღესაც სამი მატჩი ჩაატარეს და სამივე ბრწყინვალედ მოიგეს. კვლავ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გუნდის კაპიტანმა **გიორგი გუნიამ,** რომელმაც მეოთხედფინალამდე 6 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. ჩვენები ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ და იმ რჩეულ 8 ნაკრებს შორის აღმოჩნდნენ, ვისაც 24 გუნდიდან ფინალისკენ სვლის გაგრძელების შანსი მიეცა.

სამწუხაროდ, 35 წელს გადაცილებულებმა მეოთხედფინალში მასპინძლებთან მსაჯის მიერ სათამაშო დროის წუთნახევრით გადაცილების წყალობით ვერ შეინარჩუნეს მოგება და ზედ საფინალო სასტვენის წინ მიეცა მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა. ბედმა კი თერთმეტმეტრიანების სერიაშიც მასპინძლებს გაუღიმა. „ეს გუნდი, როგორც ნახეთ, ათი თავით მაღლა იდგა ყველაზე, მაგრამ წავაგეთ, ძალიან დასანანად წავაგეთ" — წუხილი გაგვიზიარა ქართული სპორტის სტაჟიანმა ქომაგმა **გურამ გუნავამ,** რომელიც საქართველოს კონტროლის პალატის ამ ცნობილ გუნდს ახლდა ხელმძღვანელად. მასპინძლებმა გრანდიოზული სამუშაო გასწიეს და დიდძალი თანხა გაიღეს ასპარეზობის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად. სულაც არ იყო გასაკვირი, რომ მსაჯების სიმპათიები მათ მხარეს იქნებოდა, მაგრამ ზოგჯერ აშკარად მეტისმეტი მოსდიოდათ. სტრიტბოლში ჩვენი გუნდი — **რეზო ჩხეიძე, დათო უშვერიძე, ვასილ გოგუა, ელგუჯა საღრიშვილი** მკაფიოდ გამოკვეთილი ლიდერი იყო. მაგრამ... ისინი ჩემპიონები არ უნდა გამხდარიყვნენ, საპრიზო ადგილი? კი ბატონო! საბოლოოდ, ჩვენებს ამდენი წვალების შემდეგ, ვერცხლის მედლები ხვდათ წილად.

ახლო წარსულში ცნობილმა მძლეოსანმა **ქეთინო აბრამიძემაც** ვერცხლის მედალი დაიმსახურა. მოცურავეებმა **ოთარ აბდალაძემ** და **ირმა ჭოხონელიძემ** შესაბამისად IV და VII ადგილები დაიკავეს.

ბაქოს სპორტის აკადემიის საფეხბურთო მოედანზე 35 წლამდელთა მეოთხედფინალური შეხვედრები მიმდინარეობდა, მინიფეხბურთელთა რვა გუნდი გავიდა ამ ეტაპზე, მათ შორის იყო „საბურთალოც". ბიჭები დილიდან ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი, ფინალში უთუოდ გავალთო ირწმუნებოდნენ.

24 გუნდში 8 მატჩს წაუგებლად რომ ჩაატარებ და ბოლო შეხვედრაში პენალტების სერიაში 4-5 წააგებ, მართლა დასანანია. არადა, „საბურთალო" ნამდვილად იმსახურებდა მეტს, უსამართლობა და უიღბლობა, რომ ერთმანეთს არ დამთხვეოდა. ყველაზე მეტად მომხდარს საბურთალოელთა გუნდის ერთ ოჯახად ჩამომყალიბებელი **აბელ ზურაბიანი** განიცდიდა. გასაგებია, კაცი გადაყოლილია ამ გუნდზე, მაგრამ დსთ-ს ქვეყნებში რომ მესამე პრიზიორი გახდები, ბედთან შესაგუებლად სულაც არ არის ურიგო. თანაც არა ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა, არამედ ერთი რაიონის ერთი უბნის ბიჭებმა მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები დსთ-ს სივრცეში.

ჩვენ ვულოცავთ თითოეულ მათგანს: **ჯაბა სამსონიას, გიორგი გუნიას, ბაჩო კობიძეს, ლევან ზუმბაძეს, ირაკლი ჯიბლაძეს, სოსო თურქიშვილს, ვახტანგ ვერულაშვილს, აკაკი კაკაშვილს, ზურაბ მშვიდობაძეს, შოთა ფარულავას, ელგუჯა ჩხუტიაშვილს, ნიკა კაჭარავას,** მწვრთნელებს. ეს ბიჭები კიდევ იტყვიან თავიანთ სიტყვას...

თენგიზ გაჩეჩილაძე,
საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი,
ეროვნული ფედერაციის „სპორტი — ყველასათვის" პრეზიდენტი.
ბაქო.

მეთერთმეტე...

ქართული სპორტის ისტორიას სპორტსმენები, მწვრთნელები, სპორტის უჩინარი მსახურნი და ამ სფეროს ფანატიკოსები ერთობლივად წერენ. „ლელო" კი 1934 წლიდან აფიქსირებს ამ ისტორიას. ასე იქნება მომავალშიც.

ამჯერად გამოსაცემად მზადდება წიგნი „მეთერთმეტე"... რომლის ცალკეული თავების გამოქვეყნებას „ლელოში" ვაგრძელებთ.

ურთიერთობა მასმედიასთან

სულაც არაა ადვილი მასმედიასთან ურთიერთობა. მით უფრო, თუ ეს ურთიერთობა ქვეყნის დემოკრატიზაციის ფონზე და გახსნილ, ანუ როგორც ხშირად უწოდებენ, ღია საზოგადოებაში მიმდინარეობს. ჟურნალისტი თავისი სპეციალობის გამო გარკვეულწილად ამბიციურია და, ალბათ, ასეც უნდა იყოს. მაგრამ დახელოვნება ესაჭიროება რესპოდენტსაც, განსაკუთრებით მაშინ, თუ უკავია ისეთი თანამდებობა, რომლის გამო ჟურნალისტებთან ხშირი ურთიერთობა, სურს თუ არა ეს, ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის შემადგენელი ნაწილი ხდება. გამოცდილ, დახვეწილ რესპოდენტთან საუბარი კორესპონდენტისთვის დიდი ფუფუნებაა.

მაინც რა იგულისხმება რესპოდენტის ხელოვნებაში? თავისი საქმის პროფესიონალი და ყველა ნიუანსში ღრმად ჩახედული რომ უნდა იყოს, ეს თავისთავად, მთავარია, აზრს როგორ გადმოსცემ, მეტყველებ თუ არა გამართულად, ხომ არ ხმარობ ხშირად არაქართულ სიტყვებს, გაქვს თუ არა იუმორის გრძნობა, შეგიძლია თუ არა მოთოკო ემოციები და პროვოკაციულ შეკითხვაზე არ წამოეგო, ხარ თუ არა წინდახედული, ზომიერად დიპლომატი და ა.შ.

თითქმის არ არსებობს ჟურნალისტი, რომელიც ხელიდან გაუშვებდა შანსს და სათავისოდ არ გამოიყენებდა რესპოდენტის ნებსით თუ უნებლიე შეცდომას, მოუზომელ ფრაზას ან სიტყვას, აღელვებას...

არ ყოფილა შემთხვევა მასმედიასთან როდისმე ირაკლი მეძმარიაშვილს რაიმე პრობლემა გასჩენოდა. ის მუდამ იყო რბილი და ზომიერი, მაგრამ, არამც და არამც, პრინციპების დათმობის ხარჯზე. ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ბევრს კარგად ეხსომება მისი შეუვალი პოზიცია. პროვოკაციული შეკითხვა აღიზიანებდა, მაგრამ სიდინჯეს არ აკარგვინებდა. ამას ყველა შეეჩვია. ამ ხელმძღვანელმა კარგად აუღო ალღო, რომ ხშირად მასობრივი ინფორმაციის ამა თუ იმ საშუალებას სენსაცია უჯობს რეალობას, კრიტიკა — გარჯის დაფასებას, ჭორი — მართალს...

ნურავინ იფიქრებს, რომ სათქმელს ჟურნალისტი მხოლოდ იმიტომ მოერიდება, რომ ის მაღალჩინოსანს გაანაწყენებს. პირიქით. ამიტომ ვამბობთ, რომ საკუთარ თავში ემოციების დათრგუნვა დიდი ხელოვნებაა. გულში წყენის ჩადება კი ძალიან ცუდი თვისებაა. სახელმწიფო მოხელე მუდამ მზად უნდა იყოს, რომ კრიტიკა, ზოგჯერ უსამართლოც, შეიძლება ნებისმიერ დროს დაატყდეს თავს.

ირაკლი მეძმარიაშვილი სულაც არ ყოფილა კრიტიკისადმი კრიტიკულად განწყობილი. მთავარია, დაცული ყოფილიყო სამართლიანობა, ცილისწამებაში არ გადაზრდილიყო სპორტის დეპარტამენტის ეს ხელმძღვანელი, არც ქართულ სპორტულ სამყაროს, არც თავის უწყებას, არც სპეციალისტებს, ცხადია, არც სპორტსმენებს არავის დააჩაგვრინებდა. ერთი ორჯერ ქირქილსაც მკაცრი ტონით დაუსვა წერტილი.

ქართული სპორტის და მასმედიის ურთიერთობა რაკი თავიდანვე „პატიოსანი თამაშის" წესებით წარიმართა, ამ ორი დარგის ინტერესთა თანხვედრა უკვე თავისთავად ჩამოყალიბდა, რაც საბოლოო ჯამში დიდად დაეხმარა და თვალსაჩინო სიკეთე მოუტანა ჩვენ სპორტულ მოძრაობას.

ირაკლი მეძმარიაშვილის პრინციპულობა ბევრს ორ გახმაურებულ ფაქტთან დაკავშირებით ჩარჩა მეხსიერებაში, ძირითადად, პრესის საშუალებით. ერთი ფაქტი ეხებოდა ჩვენი ცნობილი ფალავნის ჩარჩულ დამოკიდებულებას სამშობლოს, სპორტული ინტერესებისადმი, მეორე ეხებოდა ვაკის დახურული საცურაო აუზის სპორტისთვის დაბრუნებას.

ის ფალავანი, რომელიც ეს-ესაა ვახსენეთ, გამუდმებით იმუქრებოდა, რომ ქვეყანას დატოვებდა, რომ მას სამშობლოში არ აფასებენ, მისდამი ასეთი დამოკიდებულების გამო ის ვერ ახერხებდა თავისი შესაძლებლობების რეალიზებას და ა.შ. ეს სპორტსმენი ჯიუტად ითხოვდა ირაკლი მეძმარიაშვილთან მიღებას, მაგრამ დეპარტამენტის თავმჯდომარემ არ ჩათვალა ულტიმატუმის ენაზე მოსაუბრესთან შეხვედრა და უმწვავესი კრიტიკით გამოვიდა პრესაში. ეს არ იყო ვინმეს დათრგუნვა, მაგრამ ჭკუის სასწავლებელი ნამდვილად უნდა ყოფილიყო სხვებისთვისაც თუკი ვინმეს ასეთ პოზიციაზე დგომის სურვილი გაუჩნდებოდა. ის სპორტსმენი მაინც წავიდა საქართველოდან, ხელი არავის შეუშლია, მაგრამ შესაძლებლობების რეალიზება ვერაფრით მოახერხა უცხო ქვეყანაში.

ვაკის საცურაო აუზის ირგვლივ ატეხილმა აჟიოტაჟმა კი აპოგეას მიაღწია თუ არა, ერთ დილას ირაკლი მეძმარიაშვილმა ჟურნალისტებს ამ სპორტულ ბაზაზე უხმო. ბევრს შესაძლებელია ეგონა, რაღაც სენსაციის მოწმე გახდებოდა, ქართული სპორტის თაყვაცი მასმედიას სკანდალური ფაქტის წინაშე დააყენებდა. აქაოდა, ნახეთ, რა ხდება, როგორ მიიტაცეს და რას დაამსგავსეს ეს უნიკალური სპორტული ნაგებობაო. მსგავსი არაფერი მომხდარა. იმათ უფრო გაუმართლათ, ვისაც სჯეროდა, რომ ირაკლი მეძმარიაშვილი ამის კაცი არ იყო და საქმის სასიკეთოდ შემობრუნების რწმენით მივიდა დათქმულ დროს და დათქმულ ადგილზე.

„მოგიწვიეთ, რომ საკუთარი თვალით ნახოთ რაც ხდება. სამუშაოები დაწყებულია. აგერ პროექტი, აგერ აუზის ახალი მეპატრონეები, ეს სპორტული ნაგებობა მალე აღდგება და შეიძენს თავის ფუნქციას. რაც იყო იყო, ადრე ვთქვი, რომ ვაკის საცურაო აუზს ხალხს და სპორტსმენებს დავუბრუნებდი. ახლა ვაცხადებ, ეს უკვე რეალობაა" — უთხრა ირაკლი მეძმარიაშვილმა ჟურნალისტებს. ამის შემდეგ მოწვეულებმა გულდასმით დაათვალიერეს იქაურობა, ესაუბრნენ სპორტული ბაზის ახალ მეპატრონეებს, მშენებლებს.

ჟურნალისტებს ირაკლი მეძმარიაშვილი ან ამა თუ იმ პრობლემისადმი საზოგადოებრიობის ყურადღების მისაპყრობად უხმობდა ან მიღწევების განსაზოგადოებლად. მაგრამ არავითარ შემთხვევაში საკუთარი პერსონის წარმოსაჩენად. ეს მისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო.

თენგიზ გაჩეჩილაძე.
გაგრძელება იქნება.
დასაწყისი იხ. „ლელო" №67-74.

თელავში სპორტს პატრონი ჰყავს!

თელავის რაიონი ოდითგანვე იყო განთქმული სპორტული ტრადიციებით, მაგრამ ის, რაც ბოლო ხანებში გაკეთდა, ერთი შეხედვით შეიძლება წარმოუდგენლადაც მოეჩვენოს ვინმეს. თუ რა გაკეთდა, ქვემოთ წაიკითხავთ. აქვე კი იმას ვიტყვით, რომ სპორტულმა რაიონმა ახლა უკვე თავისი მემატიანეც გაიჩინა — გამოვიდა ერთჯერადი სპორტული ჟურნალი „სპორტი თელავის რაიონში". სწორედ ამ ჟურნალიდან გთავაზობთ ინტერვიუს რაიონის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების გამგესთან გია სვიმონიშვილთან.



◆ ***ბატონო გია, რაიონის სპორტულმა წრეებმა ხელისუფლებას მადლობის წერილით მიმართეს და ერთჯერადი ჟურნალის გამოშვების იდეაც დაებადათ...***

— ის, რაც ბოლო ორ წელიწადში თელავის რაიონის სპორტში ხდება, მართლაც იმსახურებს პრესის ყურადღებას. ასეთი მაჩვენებლები არასდროს გვქონია მასობრიობის კუთხით, ეროვნულ ჩემპიონატებზე მონაწილე გუნდებისა და სპორტსმენების რაოდენობით, სპორტული ბაზების ინფრასტრუქტურის განვითარების დონით, დაფინანსების თვალსაზრისით და სხვ.

◆ ***პრიორიტეტი საითკენაა მიმართული, მასობრიობაზე თუ შედეგზე?***

— შედეგი მასობრიობიდან გამომდინარეობს. რაც მეტი რაოდენობის ადამიანი იქნება ჩაბმული სპორტში, მით მეტი შანსია სასურველი შედეგის მიღწევის. რა თქმა უნდა, მასობრიობასაც და შედეგსაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება სჭირდება და საამისოდ ჩვენი ხელისუფლება არაფერს იშურებს. ის, რაც გივი ჩოხელის სახელობის სტადიონზე, ბავშვთა სპორტულ სკოლებში, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ქალაქში და სოფლებშია განხორციელებული, ანდა, ჩაფიქრებული, მარტო მოწონებას კი არ იმსახურებს, არამედ, უფრო მეტსაც! ასეთი დამოკიდებულება სპორტისადმი უპრეცედენტოა და ყოველივე ამან, არ შეიძლება ნაყოფი არ გამოიღოს, თუმცა, ორწლიან მონაკვეთში მიღწეული წარმატებები უკვე თვალსაჩინოა და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

◆ ***რამდენად ხელმისაწვდომია სპორტი მოსახლეობისათვის?***

— სპორტში ყველანაირ მომსახურებას, ბაზებიდან დაწყებული, დამთავრებული წვრთნით, ადგილობრივი ბიუჯეტი იღებს „თავის თავზე".

მოდით, სათქმელი ასე ჩამოვაყალიბოთ: ფიზიკურ კულტურას, სპორტის ცნებითი დატვირთვის გარდა, პრაგმატული მხარეც აქვს.

სპორტის „მრეწველობის" განვითარება სამუშაო ადგილების შექმნაა და ასეულობით ადამიანის დასაქმება, როგორც სპორტსმენთათვის (სპორტი პროფესიაა) და მწვრთნელთათვის, ასევე მომსახურე პერსონალისთვის. აუცილებელია ქარხნის „ტრუბიდან" კვამლი ამოვიდეს, რომ დავიჯეროთ?

სპორტის განვითარება უკუპროპორციულ მიმართებაშია საავადმყოფოებთან, საპყრობილეებთან, ნარკომანიასთან, ლოთობასთან...

სპორტი ფინანსურადაც მომგებიანია, ამ გუნდებსა და სპორტსმენებს მეტოქეებიც ჰყავთ, რომლებმაც ჩვენთან უნდა ისტუმრონ. მათ მომსახურება, კვება, სასტუმრო სჭირდებათ. ეს უკვე სპორტული ტურიზმია და ჩვენი ქალაქისთვის (მოსახლეობისთვის) — შემოსავალი.

◆ ***ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებმა წინა სეზონი ჩაამთავრეს...***

— დაბალი ლიგიდან დავიწყოთ: რეგიონალურ ლიგაში მოასპარეზე „კახეთი-2" ძირითადი გუნდის ფარმკლუბია და მან ღირსეულად შეასრულა თავისი ამოცანა, ანუ „კახეთს" სამარქაფო რეზერვი ჰყავდა. რაგბის კლუბი „თელაველები" ქართული რაგბისათვის ახალი სახეობაა. მისი პროგრესი აშკარაა და ახალ სეზონში თავის სიტყვას იტყვის. „ბურჯის" კალათბურთელებმა წელს რამდენიმე სიურპრიზი შემოგვთავაზეს და უმაღლეს ლიგაში გამაგრდნენ. „თელავმა" სრულიად ახალი სიტყვა თქვა ქართულ ხელბურთში — ევროპაში გასვლა სწორედ ამას ნიშნავს. „კახეთის" ფეხბურთელთა გუნდმა გულშემატკივართა ოცნება აასრულა — უმაღლეს ლიგას ხომ რამდენი წელია ვნატრობდით.

დასკვნის სახით გეტყვით, რომ თელავში სპორტს პატრონი ჰყავს!



ასე გამოიყურება სპორტის დაფინანსების ზრდა წლების მიხედვით.

სპორტში მიღწევები განპირობებულია გაზრდილი დაფინანსებით. მოწესრიგდა სპორტული მოედნები და დარბაზები, აღიჭურვა ყველა სათანადო ინვენტარით. მიმდინარეობს მასობრივი სპორტული ღონისძიებები. თითქმის ყველა სოფელში გახსნილია საჭიდაო და სხვა სპორტული წრეები. 2005 წლის ბიუჯეტში მობილიზებულია 376 ათასი ლარი, რომელიც რაიონის მომავალი თაობის სწორი მიმართულებით სვლას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას მოხმარდება.

„გულის მსოფლიო დღეს“ მიეძღვნა!

მონაწილეებს აჯილდოებს პიტერ პიხლერი (მარჯვნივ), მარცხნივ – საქართველოს გულის ფონდის პრეზიდენტი, პროფესორი მერაბ მამაცაშვილი.

ყველაზე პატარა მონაწილე სალომე ლადანიძე

წელს მეხუთედ აღინიშნა „გულის მსოფლიო დღე“. ტრადიციულად ჩატარდა მძლეოსნური გარბენი რესპუბლიკის მოედნიდან თავისუფლების მოედნის მიმართულებით. ამ ღონისძიებას ხელმძღვანელობდა ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური (უფროსი **გიორგი უდესიანი**). მძლეოსნურ გარბენში მონაწილეობდნენ სპორტული სკოლის აღსაზრდელები, მოსახლეობა, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის პირები. ყველა მონაწილეს დაურიგდა სერტიფიკატი და სამახსოვრო სუვენირები.

გარბენს ემსახურებოდა სასწრაფო დახმარება – მთავარი ექიმი **დავით გველესიანი.**

ჩვენთან საუბარში, საქართველოს გულის ფონდის პრეზიდენტმა ბატონმა **მერაბ მამაცაშვილმა** დიდი მადლიერებით აღნიშნა ქ. თბილისის მერის ბატონი გიგი **უგულავასი** და სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის **გიორგი უდესიანის** მხარდაჭერა აღნიშნულ ღონისძიებაში.

მონაწილეთა დასაჯილდოებლად მივიდა აგრეთვე ცნობილი კარდიოლოგი ავსტრიიდან, პროფესორი **პიტერ პიხლერი,** რომელმაც ინტერვიუში განაცხადა რომ, თბილისში ჩამოვიდა მოწვევით, რათა ჩაატაროს რამდენიმე ოპერაცია გულზე.

ბატონმა პიხლერმა ასევე აღნიშნა, რომ ეს გარბენები არის ტრადიციული მთელ მსოფლიოში. შეზღუდული შესაძლებლობის პირები სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა აგრეთვე პარა-ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა **დავით მაისურაძემ.**

მარინე თარხნიშვილი

მონაწილეებს აჯილდოებს სპორტის დეპარტამენტის წარმომადგენელი ნარგიზა მესხი.

საფეხბურთო ტურნირი მე-20 სკოლამ მოიგო

თბილისის 104-ე საშუალო სკოლაში ჩატარდა გულის დღისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირი რომელშიც ათი გუნდი ასპარეზობდა. ფინალში მე-20 საშუალო სკოლის გუნდმა (დირექტორი — ნინო რამიშვილი) დაამარცხა პირველი გიმნაზიის გუნდი (დირ. ლელა წიქარიშვილი) ანგარიშით 3-2. გამარჯვებული გუნდის მწვრთნელები არიან ე. ლვინიანაშვილი და ე. მირიანაშვილი. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს ნიკა გავაშელი (მე-20 საშუალო სკოლა) და გურამ ანთაძე (I - გიმნაზია) ტურნირს ხელმძღვანელობდა 67-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში ბოკუჩავა. შეხვედრების მსაჯი გახლდათ მე-3 ექსპერიმენტული ფიზაღზრდის მასწავლებელი ელიზბარ სუტარაშვილი.

გამარჯვებული გუნდი.

გაიოზ დარსაძე: საქართველო შემტევ ფეხბურთს ითამაშებს

პირველი გვერდიდან

დროს ყველა მობილურებს გამორთავსო და ყველა ერთ დიდ მაგიდაზე შევჭამთ საჭმელსო“.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, პატარა ექსკურსის შემდეგ, ჟურნალისტები ცივ ჩაიზე, ბორჯომზე და სხვადასხვა ტკბილეულზე დაგვპატიჟა.

ჩვენს იქ ყოფნისას ბაზაზე, მაია ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა 19-წლამდე ქალთა ნაკრები გუნდი, რომელიც გუშინ გაემგზავრა ბოსნიაში.

ვიდრე უშუალოდ პრესკონფერენციაზე გადავიდოდით, უნდა აღინიშნოს შოთა არველაძის დაბრუნება ეროვნულ ნაკრებში, რომელიც შესანიშნავ სეზონს ატარებს თავის ახალ კლუბში. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ახალგაზრდული ნაკრებიდან ეროვნულში სამ ფეხბურთელს უხმეს. ესენი არიან: რატი წინამძღრიშვილი, გიორგი ხიდეშელი და ნუკრი რევიშვილი.

რაც შეეხება უშუალოდ პრესკონფერენციას, დარსაძემ და ახალკაცმა ამომწურავად ისაუბრეს და არც ერთი ჟურნალისტის კითხვა არ დატოვეს უპასუხოდ. დარსაძე გულშემატკივრებს ყაზახეთთან და საბერძნეთთან შემტევი ფეხბურთის თამაშს დაპირდა.

◆ *რამ გამოიწვია დანიაში კატასტროფული მარცხი?*

დარსაძე: მიზეზი ბევრია, ალბათ ძირითადი მაინც ადრეული გაძევებაა. ხიზანიშვილის გაძევებით ჩვენ დაცვაში დიდი ძალა დავკარგეთ. მე ვაღიარებ, რომ თამაში სამართლიანად წავაგეთ.

◆ *თუ შეიძლებოდა რომ ნაკლები ანგარიშით დავმარცხებულიყავით.?*

დარსაძე: ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ეს ბიჭები არიან პატრიოტები და ძალიან ბევრს აკეთებენ საქართველოსთვის, მე კობიაშვილის, კალაძის, ცქიტიშვილის, ხიზანიშვილის სახეებს რომ ვუყურებდი, გაოცდი, ისეთი დათრგუნულები იყვნენ. უნდა გენახათ დემეტრაძე, როგორ ამხნევებდა 17 წლის ბიჭს, რომელსაც დებიუტი ჰქონდა ნაკრებში.

◆ *ბევრი მითქმა-მოთქმა მიდის უკანასკნელი მატჩის გაყიდვაზე?*

ახალკაცი: მე ვთვლი, რომ ვიღაცვიღაცები ცდილობენ სიბინძურეები შემოიტანონ ჩვენს გუნდში, გამორიცხულია, რომ ჩვენ თამაში გაგვეყიდა და ძალიან გთხოვთ ამაზე ლაპარაკი აღარ იყოს. როდესაც ათნი დავრჩით მოედანზე, თავისთავად უფრო გართულდა თამაში. დანია ექვსი წელია ერთი და იგივე შემადგენლობით თამაშობს და თვალდახუჭული უგებენ ერთმანეთს. ჩვენ მოუთმენლად ველით ამ ორ მატჩს, რათა გულშემატკივრებს ვაჩვენოთ ჩვენი თამაში.

◆ *კალაძემ წინა თამაშებში რამდენიმე პოზიციური შეცდომა დაუშვა, ამის შესახებ რას იტყვით.?*

დარსაძე: მართალია, კახა რამდენიმე ეპიზოდში შეცდა და კინაღამ დავისაჯეთ კიდეც, სწორედ ამაზე მიდის მუშაობა, თუ რომელ ფეხბურთელს, რომელ პოზიციაზე შეუძლია თამაში. ჩვენ ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავს, ასევე არ დაგვავიწყდეთ ახალგაზრდა თაობა.

◆ *ეროვნულ ნაკრებში მოიწვიეთ ახალგაზრდა გოლკიპერი რევიშვილი, რას იტყვით მასზე?*

დარსაძე: ნუკრიმ საკმაოდ კარგად ითამაშა დანიაში, მართალია ის 18 წლისაა მაგრამ საკმაოდ პერსპექტიული, გადახედეთ გუნდებს და ნახავთ, რომ ამ ასაკის ბიჭები დიდ როლს თამაშობენ თავიანთ გუნდებში.

◆ *გოგუაზე და კანკავაზე რას იტყვით, რომლებსაც თავიანთ გუნდში სათამაშო პრაქტიკა აკლიათ?*

დარსაძე: ისინი სხვა სტილის მოთამაშეები არიან, ძალიან ცუდია, რომ მათ თამაშები არ უწევთ თავიანთ კლუბში.

◆ *ალექსანდრე იაშვილთან დაკავშირებით რაიმე ახალი ხომ არ არის?*

ახალკაცი: მე იაშვილთან დაკავშირებით ასეთი ინფორმაცია მომივიდა, — მას წინასწარვე უთხრეს, რომ იგი ყაზახეთუკრაინასთან მატჩებში არ მიიღებდა მონაწილეობას, ეს არის სრული აფსურდი. მე მას ვუთხარი, რომ შეიძლება ჩვენ ერთი თავდამსხმელით გვეთამაშა და აქცენტი უფრო დემეტრაძეზე იქნებოდა გაკეთებული. მან კი მითხრა: მე სკამზე ჯდომას არ ვაპირებ და არც ვინმეს ტრავმას დაველოდებიო, რამაც გაკვირვება გამოიწვია ჩემში. ეს არ იყო მისგან სწორი ნაბიჯი, მე ვიცი რა პიროვნებაც არის იგი და გაუმართლებელი იყო მისი გუნდიდან წასვლა. როდესაც გააანალიზებს, მე დარწმუნებული ვარ, რომ თავის შეცდომას მიხვდება.

◆ *როგორ არის სალუქვაძის საკითხი და ჩამოვა თუ არა არველაძე ნაკრებში?*

დარსაძე: თუ ფეხბურთელს იძახებ ნაკრებში, არავის ეკითხებიან ჩამოვა თუ არა, ითამაშებს თუ არა, როცა სათამაშოა — ითამაშებს, როცა არ არის, არ ითამაშებს. ასე რომ, მე არ ვეკითხები ფეხბურთელს, სურს თუ არა თამაში. ფეხბურთს თამაშობს თერთმეტი კაცი და ყველა ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდება. იგივე შემიძლია ვთქვა შოთაზეც, იგი არის ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელი, ასევე საქართველოს მოქალაქე, უცხოელი რომ იყოს, შევათანხმებდით მის ჩამოსვლას. მე არ მახსოვს, რომ შოთას როდესმე ეთქვას არ ჩამოვალ ამა და ამ თამაშზეო.

◆ *შემტევ და აგრესიულ ფეხბურთს თუ ითამაშებს გუნდი?*

გ. დარსაძე: ქართული ფეხბურთის კოზირი ყოველთვის იყო შეტევა და აგრესია, მომავალში მათი მუშაობა სწორედ ამ მიმართულებით წარიმართება. სათამაშო მომზადების გარეშე ამ ტაქტიკური ელემენტის ეფექტურად გამოყენება ვერ მოხერხდება. ნაკრების ხელმძღვანელობა უკვე ნერგავს ამ პროექტს, რისი მაგალითიც 19-წლამდელთა ასაკის ნაკრების გამოსვლა იყო ესტონეთში გამართულ ევროპის პირველი შესარჩევი ეტაპზე.

ნოდარ ახალკაცს ალანიელი ქართველების შესახებაც დაეკითხნენ.

